3

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 9100 „ 7 ” თებერვალი 2012 ქ. თბილისი

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების

სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი გიორგი ჯერენაშვილი

„- 7 -“---- თებერვალი ----------“ 2012 წელი

ეგზ. N2

საქართველოს მთავრობის კანცელარია
2009-2010 წლების შესაბამისობის აუდიტი

(01.01.09-01.01.11)
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

შესავალი

საქართველოს კონტროლის პალატამ, კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 13 მაისის № 35/43 ბრძანების საფუძველზე ჩაატარა საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2009-2010 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესაბამისობის აუდიტი.
აუდიტის მიზანი იყო სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის, საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების განხორციელების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა.

აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს მთავრობის კანცელარიაში 2009-2010 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა ძირითადად შეესაბამებოდა მომქმედ კანონმდებლობას. გარდა, შრომის ანაზღაურების მუხლში, ,,სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ" ინსტრუქციის მოთხოვნისა.

ძირითადი ტექსტი:

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების მდგომარეობა.

,,საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში წლის განმავლობაში ორჯერ განხორციელდა ცვლილება და 2009 წლის 4 დეკემბრის (№ 2229) კანონით საქართველოს მთავრობის კანცელარიის ასიგნებები (ორგანიზაციული კოდი 04 00) განისაზღვრა 8,500.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც დაზუსტდა წლის განმავლობაში და შეადგინა 9,102.8 ათასი ლარი.
,,საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში წლის განმავლობაში სამჯერ განხორციელდა ცვლილება და 2010 წლის 19 ნოემბრის (№ 3831) კანონით: საქართველოს მთავრობის კანცელარიის ასიგნებები (ორგანიზაციული კოდი 04 00) განისაზღვრა 8,790.70 ათასი ლარის ოდენობით, რაც დაზუსტდა წლის განმავლობაში და შეადგინა 9,517.88 ათასი ლარი.

5

საბიუჯეტო ასიგნებები -2009-2010 წლები

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა 2009 წ	(საკასო ხარჯი) 2009 წ	ფაქტიური ხარჯი 2009 წ	დაზუსტებული გეგმა 2010 წ	(საკასო ხარჯი) 2010 წ	ფაქტიური ხარჯი 2010 წ
სულ ხარჯები	9,102.80	8,471.11	9,078.62	9,140.68	9,037.42	9,415.85
შრომის ანაზღაურება	**4,092.80**	**4,090.76**	**4,090.76**	3,648.78	3,647.67	3,647.67
თანამდებობრივი სარგო		3,352.79	3,352.79		2,486.54	2,486.54
პრემია		739.97	739.97		1,161.13	1,161.13
საქონელი და მომსახურება	**4,826.30**	**4,242.15**	**4,481.52**	5,034.59	4,995.34	4,910.78
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		157.17	157.17		105.24	105.24
მივლინებები		1,112.23	1,183.13		1,857.17	1,854.27
ოფისის ხარჯები		1,358.24	1,560.04		2,223.32	2,145.01
წარმომადგენლობითი ხარჯები		312.29	312.29		325.97	325.97
სამედიცინო ხარჯები		17.64	17.64		2.17	-
რბილი ინვენტარის, უნიფორმის და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები		2.72	2.72		360.49	327.16
ტრანსპორტისა, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები		360.49	327.16		207.36	207.36
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		921.37	921.37		-	
ძირითადი კაპიტალის მოხმარება		-	368.14			444.35
სოციალური უზრუნველყოფა	63.10	41.69	41.69	74.72	56.25	56.25
ფულადი ფორმით		41.69	41.69		56.25	56.25
სხვა ხარჯები	120.58	94.52	94.52	382.59	338.17	356.80
მიმდინარე		94.52	94.52		338.17	356.80
სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	300.00	295.33		377.40	366.98	
მანქანა-დანადგარები		279.17			265.00	
სატრანსპორტო საშუალებები		97.94			206.45	
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		181.24			160.58	
სხვა ძირითადი აქტივები		16.16				
არამატერიალური ძირითადი აქტივები		16.16				

შრომის ანაზღაურება

ორგანიზაციის მიერ 2009-2010 წლებში, ხაზინაში წარდგენილ ხარჯებზე ვალდებულების აღების განაცხადებმა და მოთხოვნებმა, თანამდებობრივ სარგოსა და საპრემიო თანხებზე შეადგინა შესაბამისად 2009 წელს 3,352.79 და 739.97 ათასი ლარი და 2010 წელს 2,486.54 და 1,161.13 ათასი ლარი, ფაქტიურად ხელფასის დარიცხვის უწყისების მიხედვით თანამდებობრივი სარგო გახარჯულია 2009 წელს 748.8 ათასი ლარით ნაკლები, ხოლო პრემია იგივე თანხით მეტი (თანამდებობრივი სარგო 2,603.96 ათასი ლარი და პრემია 1,488.80 ათასი ლარი), ხოლო 2010 წელს თანამდებობრივი სარგო გახარჯულია 450.6 ათასი ლარით ნაკლები, ხოლო პრემია იგივე თანხით მეტი (თანამდებობრივი სარგო 2,035.91 ათასი ლარის და პრემია 1,611.76 ათასი ლარი).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N:1318 ბრძანებით დამტკიცებული ,,სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ" ინსტრუქციის მე-5 მუხლის მოთხოვნები ითვალისწინებს თანამდებობრივი სარგოების და საპრემიო თანხების დარიცხვის უწყისების მიხედვით ხაზინაში წარდგენას. მთავრობის კანცელარიის მიერ არ იქნა გათვალისწინებული აღნიშნული ინსტრუქციის მოთხოვნა, და შესაბამისად ხაზინაში წარდგენილი ასიგნებების მოთხოვნები არ შეესაბამება თანამდებობრივი სარგოსა და პრემიის უწყისების მიხედვით გაწეულ ხარჯებს.

ოფისის ხარჯები

მთავრობის კანცელარიაში 2009-2010 წლებში ოფისის ხარჯებმა შეადგინა შესაბამისად 1358.2 ათასი ლარი და 2223.3 ათასი ლარი. ამ მუხლიდან სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოებზე გახარჯულია 2009-2010 წლებში შესაბამისად გახარჯულია 280.3 ათასი ლარი და 609.8 ათასი ლარი. დანარჩენი ხარჯები კი კომუნალურ, კავშირგაბმულობის და სხვა ხარჯებს შეადგენს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს, N:672 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, ოფისის ხარჯები მუხლი გარდა დანახარჯებისა მცირეფასიან და ხანგრძლივ მოხმარების საგნებზე, რომელთაც გააჩნიათ რეგულარული გამოყენების ხასიათი, ასევე მოიცავს ძირითადი აქტივების სამუშაო მდგომარეობაში შენახვისა და დაზიანების შემთხვევაში შეკეთების მიზნით გაწეულ ხარჯებს, რომელიც არ ზრდის მათ ღირებულებას. მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა წარმოადგენენ ისეთ

ღონისძიებებს, რომელთა პერიოდული განხორციელებაც ევალებათ აქტივების მფლობელებს ან მომხმარებლებს, რათა შესაძლებელი იყოს ამ აქტივების გამოყენება მათთვის განსაზღვრული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში და ისინი არ ცვლიან აქტივების საექსპლუატაციო თვისებებს, უბრალოდ ინახავენ მუშა მდგომარეობაში ან დაზიანების შემთხვევაში აღადგენენ მათ საწყის მდგომარეობას. მთავრობის კანცელარიის მიერ 2009 წელს წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტების მიხედვით კი განხორციელდა სარეკონსტრუქციო სარემონტო სამუშაოები.

რეკომენდაცია - მთავრობის კანცელარიამ:

- თანამდებობრივი სარგოებისა და საპრემიო თანხების ვალდებულების აღების შესახებ განაცხადები და მოთხოვნები კორელაციაში მოიყვანოს დარიცხვის უწყისებთან და ხაზინაში წარსადგენ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

- შენობაში შესრულებული სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხასიათი განიხილოს საქართველოს ფინანასთა სამინისტროსთან და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს საქართველოს კონტროლის პალატას.

2.აუდიტის ობიექტის მიერ საფინანსო - სამეურნეო ოპერაციების განხორციელებისას მოქმედი კანონმდებლობათა დაცვის მდგომარეობა

ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული შენობის ნაწილი 4,926.0 კვ.მ. გადაცემულია სხვადასხვა ორგანიზაციებზე (იხ. ცხრილი).

N	ორგანიზაციის დასახელება	დოკუმენტის დასახელება, N და თარიღი	მიღება - ჩაბარების აქტის თარიღი	ფართობი კვ.მ.	საბალანსო ღირებულება	შენიშვნა
1	დიასპორის საკითხებში სახ. მინისტრის აპარატი	საქ. მთავრობის 2010 წ. 18.05. N635, მთავრობის კანცელარიის უფროსის 2010წ. 16.06. N239 ბრძანება	22.06.2010წ.	მე-9 სართულზე, სამუშაო- 422.9 დამხმარე-210.8		სარგებლობის უფლებით
2	რეინტეგრაციის საკითხებში სახ. მინისტრის აპარატი	____,, ____	06.07. 2010წ.	მე-9 სართული,სამუშაო- 739.7 დამხმარე-301.1		სარგებლობის უფლებით
3	ევროსტრუქტურების საკითხებში სახ. მონისტრის აპარატი	____,, ____	22.06.2010წ. და ცვლილება 27.09.2010წ.	მე-8 სართული, სამუშაო- 616.0 დამხმარე-301.1		სარგებლობის უფლებით
4	სსიპ - ქ.თბილისის ს. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახ. აკად. თეატრი	საქ. მთავრობის 2010 წ. 18.05. N635 განკარგულება,მთავრობის კანცელარიის უფროსის 2010წ. 31.05. N230 ბრძანება	ხელშეკრულება 23.08.2010წ.	დიდი დარბაზი-800.0		უზუფრუქტით, უსასყიდლოდ-უვადოდ
5	სსიპ ,,საჯარო სამსახურის ბიურო	____,, ____	ხელშეკრულება 23.08.2010წ.	მე-9 სართული, სამუშაო- 188.3 დამხმარე-90.3		უზუფრუქტით, უსასყიდლოდ-უვადოდ
6	სსიპ ,,ლ.საყვარელიძის სახ.დაავად.კონტრ. და საზ.ჯანდაცვის ერ.ცენტრი	კანცელარიის უფროსის 2010წ. 18.10. N277 ბრძანება	21.10.2010წ.	მე-8 სართულზე, ორი ოთახი-31.0		უსასყიდლოდ-1 წლის ვადით.
7	შპს ,,სამთავრობო ღონისძიებათა მომსახურების ბიურო"(100% - იანი სახელმწიფო		ხელშეკრულება 23.03.2007.	სასადილო		დროებით სარგებლობაში -5 წლის ვადით.

	წილი)					
8	სახელმწიფო უშიშროების საბჭო	საქ. მთავრობის 2010 წ. 18.05. N635 განკარგულება,მთავრობის კანცელარიის უფროსის 2011წ. 1.02. N8 გრძანება	03.02.2011წ.	მე-7 სართული, 1226.0		სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ-უვადოდ

ფართების გადაცემა მოხდა, ნარჩენი საბალანსო ღირებულების (აუდიტის დასკვნის) გარეშე. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 29 დეკემბრის N246 დადგენილებით დამტკიცებული ,,სახელმწიფო ორგანოსათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ" მე-3 მუხლის, მე-2 პუნქტის მოთხოვნა, ითვალისწინებს ქონების გადაცემას ნარჩენი საბალანსო ღირებულებთ, ან აუდიტის დასკვნის საფუძველზე. აღნიშნული მთავრობის კანცელარიის მიერ არ შესრულებულა.

რეკომენდაცია - მთავრობის კანცელარიამ:

- დაადგინოს სხვადასხვა ორგანიზაციებზე გადაცემული შენობის 4,926.0 კვ.მ. ფართის ღირებულება და ამ თანხების შესაბამისად მოახდინოს დოკუმენტაციის გაფორმება.

აუდიტის აქტის სამართლებლივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში. ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზირი N 96 .

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ფრიდონ დონაძე

გიორგი მეტრეველი